

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისის №01-06/04
მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული

სამსახურის უფროსი: ბადრი სურმანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

2. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული

სამსახურის უფროსი: ბადრი სურმანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

3. „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და

ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

4. „ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და

ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

5. ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის მე-12 ქუჩისა და მე-12 ქუჩის I ჩიხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და

ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერიძე

6. ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ კოკოტაურის მე-5 ქუჩის გაგრძელების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერიძე

7. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2025 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

8. მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის უფროსი: ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე.
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

9. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2024 წლის ანგარიში.

მომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

10. ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის დირექტორი: ჯამბულ სურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № - -

2025 წლის - - მაისი
დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო წუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო წუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში (ვებგვერდი - www.matsne.gov.ge, 22/09/2022, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.134.016351) შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო წუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	მოხელის თანამდებობათა რანგები	პოზიციის/თანამდებობის დასახელება	შტატის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
პოლიტიკური თანამდებობის პირები				
1	მერი		1	6716
2	მერის პირველი მოადგილე		1	5110
3	მერის მოადგილე		1	4672
ადმინისტრაციული სამსახური				
4	I რანგი – დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი	1	3358

5	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოფლის მეურნეობისა და მთის განვითარების საკითხებში	1	2190
6		პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში	1	2190
7		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში	1	2044
8		პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალთა უფლებების დაცვის საკითხებში	1	2190
9		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალთა უფლებების დაცვის საკითხებში	1	2044
იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება				
10	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი	1	2628
11	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში	1	2190
12		პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში	1	2190
13		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში	1	2044
საქმისწარმოების განყოფილება				
14	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	საქმისწარმოების განყოფილების უფროსი	1	2628
15	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში	1	2190
16	IV რანგი	პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში	1	2044
საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება				
17	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი	1	2628
18	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასა და მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის საკითხებში	1	2190
19		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასა და მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის საკითხებში	1	2044
მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილება				
20	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი	1	2628

21	III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მატერიალური უზრუნველყოფის საკითხებში	1	2044
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური				
22	I რანგი – დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი	1	3358
ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილება				
23	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსი	1	2628
24	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების საკითხებში	1	2190
სახაზინო განყოფილება				
25	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	სახაზინო განყოფილების უფროსი	1	2628
26	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ხაზინის საკითხებში	1	2190
ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება				
27	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების უფროსი	1	2628
28	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში	1	2190
29		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში	1	2044
ეკონომიკური განვითარების სამსახური				
30	I რანგი – დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი	1	3358
31	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ეკონომიკის დაგეგმვისა და განვითარების საკითხებში	1	2190
ქონების მართვის განყოფილება				
32	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	ქონების მართვის განყოფილების უფროსი	1	2628
33	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქონების საკითხებში	1	2190
34		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქონების საკითხებში	2	2044

შესყიდვების განყოფილება				
35	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	შესყიდვების განყოფილების უფროსი	1	2628
36	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი შესყიდვების საკითხებში	1	2190
სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური				
37	I რანგი – დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი	1	3358
მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განყოფილება				
38	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი	1	2628
39	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის საკითხებში	1	2190
40		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის საკითხებში	1	2044
ზედამხედველობის სამსახური				
41	I რანგი – დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	ზედამხედველობის სამსახურის უფროსი	1	3358
42	III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ზედამხედველობის საკითხებში	2	2044
განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახური				
43	I რანგი – დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი	1	3358
განათლების, კულტურის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის განყოფილება				
44	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	განათლების, კულტურის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი	1	2628
45	III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი განათლებისა და კულტურის საკითხებში	1	2044
46		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის საკითხებში	1	2044

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება				
47	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი	1	2628
48	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში	2	2190
49		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში	1	2044
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური				
50	I რანგი – დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი	1	3358
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განყოფილება				
51	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განყოფილების უფროსი	1	2628
52	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოციალურ საკითხებში	1	2190
53		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში	1	2044
54		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოციალური მუშაკი	1	2044
55		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სტიქიის საკითხებში	1	2044
ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება				
56	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი (კოორდინატორი)	1	2628
57	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -ბავშვთა სოციალური მუშაკი	1	2190
58		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -ინსპექტორი	1	2044
59		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -იურისტი	1	2044
შიდა აუდიტის სამსახური				
60	I რანგი – დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი	1	3358

61	III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი შიდა აუდიტის საკითხებში	1	2044
ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაკავებელი პოზიციები				
62	მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში		10	1898
63	სპეციალისტი ადმინისტრაციულ ერთეულში		22	1460

“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

აღნიშნული ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები, რომლის საფუძველზე დასახელებული კანონის სათაური შეიცვალა და განისაზღვრა „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ შესაბამისად ადგილობრივ დონეზე არსებულ ნორმატიულ აქტებშიც უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები სწორედ აქედან გამომდინარე „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხით განსაზღვრულ საჯარო მოხელის 2 საშტატო ერთეულის სახელწოდებაში უნდა შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანა და დადგენილებით დამტკიცებული დანართის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები დაამტკიცოს და მასში ცვლილება შეიტანოს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ინიციატივისა და მოთხოვნის საფუძველზე. აქედან გამომდინარე სწორედ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის შესაბამისად ხდება მოქმედი დადგენილებით დამტკიცებულ დანართით განსაზღვრულ თანამდებობების დასახელებებში ცვლილების შეტანა, რომელიც წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად განსაზღვრულია შემდეგნაირად იხ. დადგენილების პროექტი.

აქედან გამომდინარე დადგენილებით დამტკიცებული დანართში განხორციელდა შემდეგი სახის ცვლილებები კერძოდ:

განხორციელდა 2 (ორი) საშტატო ერთეულის დასახელებაში ცვლილება მათ შორის:

- „პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში“ თანამდებობის დასახელებაში შევიდა ცვლილება და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით - „პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალთა უფლებების დაცვის საკითხებში“ ასევე „მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში“ თანამდებობის დასახელებაში შევიდა ცვლილება და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით - „მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალთა

უფლებების დაცვის საკითხებში“, ხოლო კატეგორიისა და სარგოს ცვლილება არ განხორციელებულა და უცვლელი დარჩა.

- აქედან გამომდინარე ადმინისტრაციულ სამსახურს დაემატა 2 საშტატო ერთეული „პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალთა უფლებების დაცვის საკითხებში“ და „მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალთა უფლებების დაცვის საკითხებში“ სადაც იგეგმება ჰორიზონტალური გზით „პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში“ და „მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში“ გადაყვანა, შესაბამისად ამ პროცესის დასრულების შემდეგ არსებული ორი შტატი გაუქმდება.

აქედან გამომდინარე დადგენილებით დამტკიცებული დანართის სხვა ნაწილები დარჩა უცვლელად მხოლოდ დანართის ნუმერაცია ახლიდან ჩამოყალიბდა.

დადგენილების მე-2 მუხლი აწესებს მისი ძალაში შესვლის საკითხებს შემდეგი სახით:

„დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტი სრულ შესაბამისობაშია და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - ბადრი სურმანიძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

**2025 წლის -- მაისი
დაბა ქედა**

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №27 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო - ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.134.016235, 09/01/2018) შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლი მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ადმინისტრაციული სამსახურის შემადგენლობაში შედის ასევე:

ა) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოფლის მეურნეობისა და მთის განვითარების საკითხებში;

ბ) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალთა უფლებების დაცვის საკითხებში;

გ) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალთა უფლებების დაცვის საკითხებში.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავჯდომარე**

ამირან ცინცაძე

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია 2025 წლის 2 აპრილს „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები, რომლის საფუძველზე დასახელებული კანონის სათაური შეიცვალა და განისაზღვრა „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ ასევე აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე განისაზღვრა, რომ საქართველოს მთავრობამ და შესაბამისმა უწყებებმა უნდა უზრუნველყონ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა. სწორედ აქედან გამომდინარე უნდა განხორციელდეს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულებაში არსებული ჩანაწერები ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა და სამართლებრივ მოწესრიგება.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის შესაბამისად ხდება დადგენილებაში ცვლილების შეტანა, რომელიც წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლი მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ადმინისტრაციული სამსახურის შემადგენლობაში შედის ასევე:

ა) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოფლის მეურნეობისა და მთის განვითარების საკითხებში;

ბ) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალთა უფლებების დაცვის საკითხებში;

გ) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალთა უფლებების დაცვის საკითხებში.“

დადგენილების მე-2 მუხლი აწესებს მისი ძალაში შესვლის საკითხებს შემდეგი სახით:

„დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა.დ) ნორმატიული აქტის მოკლე ვადებში იმილების (გამოცემის) დასაბუთება:

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში, რათა კანონმდებლობასთან მიმართებაში დროულად მოწესრიგდეს დებულებაში არსებული სამართლებრივი შეუსაბამობები.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/დაექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - ბადრი სურმანიძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
2025 წლის -- მაისი
დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106¹-ე და 106⁵-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 20 ივნისი.

4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 27 ივნისი.

5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.gov.ge).

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

ცნობა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2025 წლის 19 ივნისს დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2025 წლის 20 ივნისს დღის 12:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2025 წლის 27 ივნისი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №--

**2025 წლის -- მაისი
დაბა ქედა**

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 11/05/2016; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016193) შეტანილი იქნას ცვლილება და:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობის ღონისძიებათა დაგეგმვა და დამტკიცება.“

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის თავი IV¹ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი IV¹

ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო

მუხლი 34¹. ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო

1. საკრებულო, საქართველოს კონსტიტუციით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონით, „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონით, საკრებულოს რეგლამენტითა და სხვა ნორმატიული აქტებით ქმნის ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს (შემდგომ – საბჭო), რომელიც არის ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სათათბირო-საკონსულტაციო ორგანო და განიხილავს მუნიციპალიტეტში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის დაცვისა და ბავშვთა უფლებების დაცვის მდგომარეობას, შეიმუშავებს წინადადებებს ადგილებზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის

უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაციის მიზნით.

2. ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნის წესი, შემადგენლობა, უფლებამოსილება და ფუნქციები განისაზღვრება ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საკრებულო.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

განმარტებითი ბარათი

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში კანონმდებლობით გათვალისწინებული ცვლილებების განხორციელება.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესაბამისად, ცვლილება შედის დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტსა და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის თავი IV¹-ში აღნიშნული ცვლილებების შედეგად ხდება რეგლამენტის საქართველოს კონსტიტუციასთან, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონთან, „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონთან და სხვა ნორმატიული აქტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: ამირან ცინცაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2025 წლის -- მაისი

დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106¹-ე და 106⁵-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია (თავმჯდომარე - ოთარ ხარამე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 20 ივნისი.

4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 27 ივნისი.

5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.gov.ge).

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

ც ნ ო ბ ა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია (თავმჯდომარე - ოთარ ხარაძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2025 წლის 19 ივნისს დღის 18:00 საათამდე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2025 წლის 20 ივნისს დღის 12:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2025 წლის 27 ივნისი.

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2025 წლის -- მაისი

დაბა ქედა

**ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს
შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.თ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1¹ პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

ქედის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად შეიქმნას ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო და მისი დებულება დამტკიცდეს დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის №6 დადგენილება (ვებგვერდი - www.matsne.gov.ge, 01/03/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016250).

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო (შემდგომ – საბჭო) არის ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სათათბირო-საკონსულტაციო ორგანო, რომელიც განიხილავს მუნიციპალიტეტში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის დაცვისა და ბავშვთა უფლებების დაცვის მდგომარეობას, შეიმუშავებს წინადადებებს ადგილებზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაციის მიზნით.
2. საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონით, „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონით, საკრებულოს რეგლამენტით, სხვა ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით.
3. საბჭოს ფუნქციები და უფლებამოსილებანი განისაზღვრება ამ დებულებით.

მუხლი 2. საბჭოს ძირითადი ამოცანები, ფუნქციები და უფლებამოსილებანი

საბჭოს ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

- ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ეროვნული სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით, შეიმუშაოს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინოს მუნიციპალიტეტში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი სამოქმედო გეგმა და უზრუნველყოს ამ გეგმის შესრულების კოორდინაცია;
- ბ) განახორციელოს მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ანალიზი და შეიმუშაოს წინადადებები ქალთა და ბავშვთა უფლებების დარღვევის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად;
- გ) განიხილოს მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის, ქალთა და ბავშვთა საკითხებზე შემუშავებული მუნიციპალური პროგრამებისა და ბიუჯეტის პროექტები; მოამზადოს შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები; მოახდინოს არსებული მუნიციპალური პროგრამების შესახებ ინფორმაციის პერიოდულად გავრცელება;
- დ) განახორციელოს ქალთა და ბავშვთა საჭიროებების კვლევა; თემატური მოკვლევის საფუძველზე გამოვლენილი გამოწვევების შესწავლა; მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება. ასევე, განახორციელოს ადგილობრივი თვითმმართველობის

ორგანოების მიერ შესრულებული ან მიმდინარე მუშაობის მონიტორინგი, შეფასების დანერგვა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება ქალთა და ბავშვთა საკითხების უზრუნველსაყოფად;

ე) უზრუნველყოს საკრებულოში ინიცირებული ნორმატიული აქტების პროექტების ექსპერტიზა ქალთა და ბავშვთა საკითხების შეფასების თვალსაზრისით;

ვ) შეიმუშაოს და დაგეგმოს ცალკეული ღონისძიებები ქალთა და ბავშვთა საკითხების, აქტივობების, მათი თანასწორობის უფლებების რეალიზაციისათვის;

ზ) ითანამშრომლოს საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან და მიაწოდოს მათ შესაბამისი ინფორმაცია და წინადადებები; მონაწილეობა მიიღოს ქალთა და ბავშვთა საკითხების დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში;

თ) მოითხოვოს და მიიღოს ქალთა და ბავშვთა საკითხების შესწავლასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, გარდა ისეთი დოკუმენტებისა, რომელთა კონფიდენციალურობაც დაცულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ი) განიხილოს ქალთა და ბავშვთა საკითხების დარღვევის თაობაზე წარდგენილი განცხადებები, დოკუმენტაცია და სხვა ინფორმაცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოს მათზე რეაგირება და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები;

კ) ქალთა და ბავშვთა საკითხების შესწავლისა და განხილვის დროს საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები, შესაბამის დარგში მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები დამოუკიდებელი ექსპერტები; საბჭოს კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესწავლისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით შექმნას თემატური სამუშაო ჯგუფები ექსპერტებისა და სპეციალისტების მონაწილეობით;

ლ) ქალთა და ბავშვთა საჭიროებების გათვალისწინებით საბჭოს სამოქმედო გეგმის შემუშავება და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

მ) საბჭოს საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე, საკითხის სრულყოფილად შესწავლისა და გამოკვლევის მიზნით, მოაწყოს სამუშაო შეხვედრები შესაბამის დაინტერესებულ პირებთან და უწყებებთან; ითანამშრომლოს ქალთა ჯგუფებთან და კერძო ორგანიზაციებთან;

ნ) განახორციელოს მისთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

2. საბჭო უფლებამოსილია:

ა) ქალთა და ბავშვთა საკითხებთან დაკავშირებით წარმოადგინოს ქედის მუნიციპალიტეტი;

ბ) წელიწადში ერთხელ საკრებულოს წარუდგინოს ანგარიში მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხების მდგომარეობის შესახებ;

გ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 3. საბჭოს სტრუქტურა

1. საბჭოს თავმჯდომარეობს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ან მისი დავალებით – ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ან საკრებულოს ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარე.

2. საბჭოს წევრთა რაოდენობა **განისაზღვრება ---- წევრით.** საბჭო შედგება საბჭოს თავმჯდომარის, საბჭოს მდივნის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, საკრებულოს აპარატის წარმომადგენლის და ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში ქალთა უფლებების დაცვის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურისგან, ასევე საბჭოს წევრად შესაძლებელია განისაზღვროს ადგილობრივი, კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, საბჭოს თავმჯდომარისადმი მათი წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

3. პერსონალურ შემადგენლობას განსაზღვრავს და ბრძანებით ამტკიცებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

4. საბჭოს წევრის შერჩევისას უპირატესობა მიენიჭება ქალთა და ბავშვთა უფლებების თემებზე საბჭოს წევრობის კანდიდატის ინფორმირებულობას ან/და მუშაობის გამოცდილებას.

5. ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურ საბჭოში წევრთა 40%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს ერთი სქესის წარმომადგენელი.

6. საბჭოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება:

ა) საბჭოდან გამოსვლის შესახებ პირადი, წერილობითი განცხადების წარდგენის შემთხვევაში;

ბ) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შემთხვევაში;

გ) თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან გავიდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა;

დ) სასამართლომ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარა, გარდაცვლილად გამოაცხადა ან მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ე) არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 6 თვის განმავლობაში საბჭოს სამუშაო პროცესში მონაწილეობის მიუღებლობის შემთხვევაში;

ვ) მერის მიერ განსაზღვრული ქალთა და ბავშვთა საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ცვლილების შემთხვევაში;

ზ) გარდაცვალების შემთხვევაში;

თ) საკრებულოს და მერიის თანამდებობის პირის უფლებამოსილების შეწყვეტის, საჯარო მოსამსახურის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში.

7. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით საბჭოსთან შესაძლებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობას და საქმიანობის ფორმებს საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით განსაზღვრავს საკრებულოს თავმჯდომარე.

მუხლი 4. საბჭოს მუშაობის წესი

1. საბჭოს სხდომას ხელმძღვანელობს და სხდომის დღის წესრიგს ამტკიცებს საბჭოს თავმჯდომარე.

2. საბჭოზე გასატან საკითხებს ამზადებს და დღის წესრიგის პროექტს ადგენს საბჭოს მდივანი.

3. საბჭოს იწვევს საბჭოს თავმჯდომარე. საბჭოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით, ან საბჭოს წევრთა 1/3-ის მოთხოვნით.

4. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა უმრავლესობა.

5. საბჭოს სხდომა ღია და საჯაროა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა. საბჭოს სხდომის დღის წესრიგი, სხდომის ჩატარების დრო და ადგილი უნდა გამოქვეყნდეს საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, სხდომის ჩატარებამდე 7 დღით ადრე მაინც. საბჭოს წევრებს სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ უნდა ეცნობოთ სხდომამდე 3 დღით ადრე მაინც, ხოლო რიგგარეშე სხდომის მოწვევის შემთხვევაში – დაუყოვნებლივ.

6. საბჭო ამზადებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს საკრებულოსა და საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და თანამდებობის პირებისათვის წარსადგენად და იღებს გადაწყვეტილებებს საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებზე.

7. საბჭოს სხდომაზე განსახილველ საკითხებზე წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენის უფლება აქვს სხდომაში მონაწილე ყველა პირს. ყველა წარდგენილი წინადადება და რეკომენდაცია შეიტანება საბჭოს სხდომის ოქმში. განსახილველ საკითხებზე წინადადებები და რეკომენდაციები შემოტანილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით 2 დღით ადრე მაინც. ასეთი სახით შემოსულ წინადადებებსა და რეკომენდაციებს, საბჭოს სხდომის თავმჯდომარე აცნობს სხდომის მონაწილეებს და იგი დაერთვება სხდომის ოქმს.

8. საბჭოს სხდომაზე ცალკეულ საკითხების განხილვისას, საბჭოს თავმჯდომარის მიერ შეიძლება მოწვეულ იქნეს მერიის თანამდებობის პირები, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები და სპეციალისტები.

9. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ასრულებს საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საკრებულოს წევრთაგან, საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

10. საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრის საფუძველზე, საბჭოს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

11. საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე.

12. საბჭოს სხდომის ოქმი ქვეყნდება საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით.

13. საბჭოს მიერ მიღებული წინადადებები და რეკომენდაციები ეგზავნება ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებსა და თანამდებობის პირებს, რომლებიც ვალდებული არიან ერთი თვის ვადაში განიხილონ მიღებული წინადადებები და რეკომენდაციები და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ აცნობონ საბჭოს.

მუხლი 5. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა

საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი.

მუხლი 6. საბჭოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

საბჭოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

განმარტებითი ბარათი

„ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესრულება, კერძოდ: მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური მუშაობისა და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურ საბჭოს, რომლის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და

ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი საკრებულო.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების ძირითადი მიზანია მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისად, შემუშავებული იქნას და განხორციელდეს ღონისძიებები ადგილებზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად.

გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს ნორმატიული-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება, არსებულ ნორმატიულ აქტში ცვლილებების შეტანა, ასევე ახალი ნორმატიული-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღება, აქედან გამომდინარე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ხორციელდება „ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი დადგენილების ჩამოყალიბება და მიღება.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე,

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

